მშვიდობა და უსაფრთხოება

ქართველები და აფხაზები (ქართულ-აფხაზური კონფლიქტი)

სად ვართ?

ივლიანე ხაინდრავა
ნოემბერი 2024

აფხაზეთში პარადოქსული ვითარება შეიქმნა: საფრთხის მთავარი წყარო მისივე უსაფრთხოებისა და „დამოუკიდებლობის“ მთავარი და, არსებითად, ერთადერთი გარანტი - რუსეთი - გახდა.

ამ პირობებში მხოლოდ თბილისის ხელისუფლება ინარჩუნებს ინსტრუმენტებს, რათა შეარბილოს აფხაზეთის გარე სამყაროდან იზოლაციის ხარისხი.

თბილისიში არსებული პოლიტიკური კრიზისის მოგვარებამდე და შიდაპოლიტიკური ვითარების დასტაბილურებამდე, რაიმე ნოვატორული ხასიათის ნაბიჯების გადადგმა კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით მოსალოდნელი არაა.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

მშვიდობა და უსაფრთხოება

ქართველები და აფხაზები (ქართულ-აფხაზური კონფლიქტი)

სად ვართ?

სარჩევი

	შესავალი	2
1.	როგორ აღიქვამენ ერთმანეთს ქართველები და აფხაზები	3
	აფხაზების აღქმა ქართველების მიერ	3
	ქართველების აღქმა აფხაზების მიერ	4
2.	პოლიტიკური პროცესები საქართველოსა და აფხაზეთში	6
	პოლიტიკური პროცესები საქართველოში	6
	და მათი გამოძახილი აფხაზეთში	
	პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში	7
3.	მოსკოვის პოლიტიკა ქართულ - აფხაზური კონფლიქტის მიმართ	9
4.	დასავლეთის პოლიტიკა საქართველოში კონფლიქტების მიმართ	10
5.	არსებული ვითარება	11
6.	რა ვქნათ?	12
	გამოყენებული ლიტერატურა	13

შესავალი

წინამდებარე ანალიტიკური მიმოხილვის მიზანია, ისტორიის სიღრმეებში წიაღსვლის გარეშე წარმოაჩინოს **მიმდინარე ეტაპზე** ქართულ-აფხაზური (კონფლიქტური) ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტი, დაასაბუთოს მათი კონსტრუქციულ კალაპოტში მოქცევის აუცილებლობა; ეს ამოცანა, აფხაზური მხარისთვის - განსაკუთრებით, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ორმხრივი გაუცხოების, გარედან მზარდი ზეწოლის, გლობალური გაურკვევლობის, უპირველესად - უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის დასრულების ძნელად პროგნოზირებადი პოლიტიკურ-სამართლებრივი შედეგებისა და სხვა, მათ შორის - ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ამ ამოცანის გადაჭრის მიმართულებით ამოძრავება გადაუდებელი საჭიროებაა. ენგურს გაღმა-გამოღმა მიმდინარე არაერთმნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებს არ უნდა შეეწიროს ურთიერთობების აღდგენა და ჯანსაღ, ორმხრივად სარგებლიან ფორმატში მათი განვითარება. მხარეთა ე.წ. წითელმა ხაზებმა ვერ უნდა დააბრკოლონ ადამიანების ყოველდღიური ყოფის გაუმჯობესების, მათი უსაფრთხოების დონის განუხრელი ზრდის უზრუნველყოფა. სხვადასხვა სახისა და მასშტაბის წინაღობები, რომელთა ნაწილი შეძლებისდაგვარადაა ასახული აქ, სერიოზული გამოწვევაა ორივესთვის. იმავდროულად, სათანადო გააზრება იმ მაღალი საფასურისა, რომელსაც ორივე მხარე იხდის უკვე სამი ათეული წლის მანძილზე კონფლიქტის დაურეგულირებლობის გამო, ბოლოსდაბოლოს, უნდა გახდეს ქმედითი სტიმული ვითარების შესაცვლელად. ორმხრივი კეთილი ნების, რეალისტურ მიდგომებზე და მოლოდინებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და მიზანსწრაფულობის გამოვლენის შემთხვევაში, თუნდაც ნელი, მაგრამ განუხრელი და თანმიმდევრული პროგრესის მიღწევა, არ უნდა წარმოადგენდეს დაუძლეველ პრობლემას.

1

როგორ აღიქვამენ ერთმანეთს ქართველები და აფხაზები

აფხაზების აღქმა ქართველების მიერ

ქართულ საზოგადოებაში აფხაზთა აღქმის (მათ მიმართ დამოკიდებულების) ფართო სპექტრია, დაწყებული „ჩვენი აფხაზი დები და ძმებით“ (ზოგი მაღალჩინოსნის ლექსიკიდან) და მსგავსი მუხტის მატარებელი „კარგი მეგობრები და მეზობლები, რომლებმაც სიცოცხლე გადამირჩინეს“ და „ჩემი მამა-პაპის საფლავებს დღესაც უვლიან“ (ზოგი დევნილის გამოცდილება), გაგრძელებული „რუსეთის მარიონეტებით“ (პოლიტიკოსთა ნაწილში ფესვგამჯდარი) და დამთავრებული „ასეთი ერი საერთოდ არ არსებობს“ (პ.ინგოროყვას თეორიის მომხრეები). ცხადია, უკიდურესობებს შორის კიდევ ბევრი გრადაციაა.

საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევები აჩვენებს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რჩება აქტუალური საკითხების ჩამონათვალში (შემოთავაზებულ სიაში რესპონდენტი თავად უკეთებს ხოლმე რანჟირებას პრობლემებს), მაგრამ არამც და არამც არ მიიჩნევა ყველაზე პრიორიტეტულად.[1] იმავდროულად, კითხვაზე „შესაძლებელი იყო თუ არა 90-იანი წლების ომების არიდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში?“ 57% ფიქრობს, რომ შეიძლებოდა, 20% კი - არა (დანარჩენებმა ან არ იციან, ან უარი განაცხადეს პასუხის გაცემაზე).[2] ეს კი მიგვანიშნებს, რომ აფხაზები არ აღიქმებიან მტრად, რომელთანაც იარაღის ენის გარდა სხვა სალაპარაკო ენა ვერ იძებნება.

კონფლიქტის თემატიკით დაინტერესებული ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად თანაუგრძნობს აფხაზების წინააღმდეგობას რუსული დომინაციის მიმართ პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებში (თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც არც თუ უსაფუძვლოდ სვამს სარკასტულ კითხვას - „აბა, რა ეგონათ?“).

ნიშანდობლივი, ან, თუ გნებავთ, შემაშფოთებელია ის, რაც ხდება ახალგაზრდა თაობაში, სადაც ერთობ ბუნდოვანია (თუკი საერთოდ არსებობს) წარმოდგენა აფხაზობაზე, მის ადგილსა და როლზე საქართველოს სახელმწიფოში საუკუნეების მანძილზე, თუ როგორ ცხოვრობენ, რა უჭირთ და რა უნდათ აფხაზებს დღეს. ასე, ახალგაზრდების უმრავლესობა (72%) პირადად არ იცნობს ადამიანს, რომელიც ამჟამად აფხაზეთსა ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს; მათ 73%-ს ბოლო ათი წლის მანძილზე აფხაზეთის მცხოვრებლებთან ურთიერთობა არ ჰქონია.[3]

ამ არასახარბიელო მდგომარეობის ფესვები განათლებაში უნდა ვეძებოთ,[4] მაგრამ - არა მხოლოდ. ჯერ ერთი, ახალგაზრდულ დღის წესრიგში სხვა საკითხებია უფრო პრიორიტეტული (საქართველოში ბოლო წლებში ახალგაზრდული მოძრაობა ამას მკაფიოდ ცხადყოფს). მეორე - შიდა პოლიტიკურ დისკურსში კონფლიქტების თემა იშვიათად თუ წამოიწევა, ისიც - დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთბრალდებების კონტექსტში, ხოლო ამ დაპირისპირებით გატაცებული ქართული მედია, იშვიათი გამონაკლისის გარდა,[5] სათანადო ყურადღებას არ უთმობს თბილისის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებს.

სანუგეშოდ ისღა გვრჩება, რომ ყველა გამოკითხვაზე დაყრდნობით დანამდვილებითაა შესაძლებელი იმის კონსტატაცია, რომ საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი ქართულ-აფაზური კონფლიქტის მოგვარების მხოლოდ მშვიდობიან გზას ხედავს; მოგვარების სავარაუდო ვადებთან დაკავშირებით კი ისეთივე მრავალხმიანობაა, როგორც აფხაზების მიმართ დამოკიდებულებაში.

---

1 https://www.ndi.org/georgia-polls

2 https://crrc.ge/wp-content/uploads/2024/02/final-fog_eng_08_04_2021.pdf 2021

3 საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობისა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობის კვლევა, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო, დეკემბერი, 2021

4 იხ. მაგ.: მაია ბარქაია: „ომით გაყოფილი ისტორია: კონფლიქტები და ისტორიის სწავლება საქართველოში“, კავკასიური სახლი, 2019 https://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2019/12/%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-2019.pdf

5 გამონაკლისია, მაგალითად, რუბრიკა „ქართულ-აფხაზური კონტექსტი“ მედია-პლატფორმაზე JAMnews, https://geabconflict.net/ge/

ქართველების აღქმა აფხაზების მიერ

ამ კუთხით ობიექტური და ყოვლისმომცველი სურათის წარმოჩენას ხელს უშლის ის, რომ აფხაზეთში არ ტარდება საზოგადოებრივი აზრის (ღია) გამოკითხვები, ხოლო „ქართული თემა“ აფხაზურ მედიაში პრაქტიკულად მხოლოდ უარყოფით კონტექსტში განიხილება. შეცდომის დაშვების არცთუ მაღალი ალბათობით შესაძლებელია იმის პოსტულირება, რომ აფხაზეთის ეთნიკურად ჭრელ მოსახლეობაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ქართველების/საქართველოს მიმართ, თუმცა, რაკი პოლიტიკურ დღის წესრიგს სოხუმში მთლიანად განსაზღვრავენ ეთნიკური აფხაზები, სწორედ მათ განწყობებზე მოვახდენთ ფოკუსირებას. შთაბეჭდილებებისა და შეფასებების (სიტყვა „დასკვნები“ აქ გადაჭარბებული იქნება ზემოთ ნახსენები გარემოების გამო) საფუძველი კი ღია წყაროები და ვიზავისთან არაფორმალური შეხვედრა/დიალოგის (track-2) მონაწილეთა მიერ ურთიერთგაზიარებული დაკვირვებებია.

ომისშემდგომი სამი ათეული წლის მანძილზე (არსებითად კი - მანამდეც) აფხაზეთში ყალიბდებოდა ქართველი მტრის ხატი და მისი კულტივირება არც ერთ დროით მონაკვეთში არ შეწყვეტილა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ გაიელვა ურთიერთობების ნორმალიზების იმედმა; პირველად - 1995-97 წლებში, როცა აფხაზებს ჯერ არ სჯეროდათ რუსეთის მეშვეობით საქართველოდან მოწყვეტის შესაძლებლობისა, მეორედ კი 2004-05 წლებში, როცა თბილისსა და სოხუმში ახალი ხელისუფლებების მოსვლის ფონზე საერთო ენის გამონახვის მცდელობები გაჩნდა. სხვადასხვა, მათ შორის - სუბიექტური - გარემოებების ერთობლიობის გამო, დადებითი შედეგი არ დამდგარა არც ერთ შემთხვევაში.

1992-93 წლების ომი „სამამულო ომადაა“ შერაცხული აფხაზეთში და ეს გახლავთ დღევანდელი აფხაზური იდენტობის ქვაკუთხედი. ეს საყრდენი რომ გამოაცალო აფხაზურ სეპარატიზმს, უმალ დაუდგებათ უპასუხო კითხვა: მაშ, რისთვის იომეს? რისთვის გაიღო აფხაზობამ დიდძალი მსხვერპლი? თანაც, როგორც (ეთნო)ნაციონალისტური, ისე მობილიზაციური მუხტის შესანარჩუნებლად მუდმივად უნდა ასაზრდოონ გარე მტრის ნარატივი და, ომის ცხელ კვალზე, ეს ფუნქცია აფხაზებმა ქართველებს მიანიჭეს.

ქართველების მიმართ შეურიგებელ მიდგომაში არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ ანალიტიკოსების მიერ ნაკლებად აქცენტირებული მხარეც: ქართველებში გათქვეფის უფრო ეშინიათ, ვიდრე რუსებში. და აქ ქართველებსა და აფხაზებს შორის კულტურული სიახლოვე მთავარ საფრთხედ განიხილება აფხაზობაში. ეთნიკურად შერეული ქართულ-აფხაზური ქორწინებები ჩვეულებრივი ამბავი იყო ომამდე; წარმოშობით ქართული გვარების მქონე აფხაზური თვითიდენტიფიცირების მატარებელი აფხაზები და პირიქით - აფხაზური ფუძე/წარმომავლობის გვარები ქართველებში - ასევე, ჩვეულებრივი ამბავია; წესჩვეულებები ჰგავს ერთმანეთს (განსაკუთრებით, რაც ბუნებრივია, მეგრელებთან, თუმცა მთლად იდენტურიც არაა). ორივეს გვიყვარს კარგად ცხოვრება, საამისო შრომა კი - ნაკლებად (აქაც - სხვადასხვა დოზით). ეთნიკური რუსი კი - სხვაა, სხვანაირია, უცხო; მიუხედავად იმისა, რომ ვერანაირი ძალისხმევა ვერ უზრუნველყოფს აფხაზური ენის კონკურენტუნარიანობას რუსულთან, ანუ ამ და ბევრი სხვა თვალსაზრისით აფხაზეთის რუსიფიკაცია ობიექტურად გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზების უახლოესი ნათესავები - უბიხები და შაფსუღები, პრაქტიკულად, გაითქვიფნენ რუსეთში, აფხაზები იმით ინუგეშებენ თავს, რომ ხომ შეინარჩუნეს საკუთარი იდენტობა და (კვაზი)პოლიტიკური ერთეულები ჩერქეზებმა, ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ლეკებმა?

საქართველოს ხელისუფლების რომელიმე ნაბიჯს (მაგალითად - რეფერალურ პროგრამას) რომც აფასებდნენ აფხაზები დადებითად (არა საჯაროდ, არამედ - ვიწრო წრეში ხმადაბლა საუბრისას), ის მაინც დამძიმებულია კონოტაციით „აბა, რა უნდა ჰქნან?“. ცხადია, ყველა პრობლემა მათგან (ქართველებისგან) მომდინარეობს და მოვალენი არიან დაგვეხმარონ (სხვათა შორის, მსგავსი განწყობა - **უნდა** დაგვეხმარონ - ვრცელდება რუსეთსა და დასავლეთზეც).

ნებისმიერი, თავისი პათოსით თუნდაც ყველაზე უფრო უწყინარი, კეთილშობილური, სამართლიანი განცხადება (ქმედებაზე რომ არაფერი ვთქვათ) თბილისიდან აფხაზეთის მისამართით კონტრპროდუქტიულია, რადგან აპრიორი ქართულ „მზაკვრობაზე“, „ორპირობაზე“, „ბოროტ განზრახვაზე“ და, საბოლოო ანგარიშით, ქართველების მიერ აფხაზეთის „ჩაყლაპვის“ გეგმის ნაწილად მიეწოდება იქაურ აუდიტორიას. დადებით კონტექსტში ქართველების/საქართველოს მოხსენიება (გამონაკლისის სახით, მაგრამ მომხდარა) უმალ შემოუტრიალდება მის ავტორს უარყოფითად, ხოლო პოლიტიკური საქმიანობით დაკავებულ ადამიანს საქართველოსკენ გახედვაც კი პოლიტიკურ სიკვდილს უქადის.

ბოლოდროინდელი მაგალითი. საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ასე გამოეხმაურა ნოემბერში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს: "მინდა დავგმო, რომ დღეს რუსეთი დგამს აჩქარებულ ნაბიჯებს ანექსიის მიმართულებით, როდესაც ითხოვს საქართველოსგან, დათანხმდეს დელიმიტაციას, რაც არის წარმოუდგენელი და რაც პრინციპში უგულებელყოფს საქართველოს მთავრობის მთელ ლოგიკას, რომ ვითომც და დათმობებით შეიძლება შეაცვლევინო რუსეთს პოლიტიკა. შეაცვლევინო კი არა, ააჩქარებ ამით და ეს ჩანს ყოველდღიურად. ოკუპირებულ აფხაზეთში მცდელობაა, გატარდეს რუსული კანონი და რასაც სამოქალაქო საზოგადოება წინ აღუდგა და მინდა

მათ სოლიდარობა გამოვუხატო" *(სტილი დაცულია - ი.ხ.)*.[6]

პასუხებმა სოხუმიდან არ დააყოვნა. იქაური ოპოზიციის ლიდერმა *ადგურ არძინბამ* უსაყვედურა საქართველოს პრეზიდენტს იმის გამო, რომ ის „ჩვეულებისამებრ, ეროვნული მითოლოგიით ხელმძღვანელობს“, შეახსენა მას, რომ „აფხაზეთი - თავისუფალი ქვეყანაა, რომელიც თავად განსაზღვრავს საკუთარ ბედს, განვითარების მიმართულებას და ეროვნულ ინტერესებს“ და ვერდიქტიც გამოუტანა: „ასე რომ, გაურკვეველია, ვის მიმართ არის სოლიდარული ქალბატონი ზურაბიშვილი, რომელთანაც აშკარად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს არა მხოლოდ სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე, არამედ ქვეყანაში ცხოვრებაზე, პოლიტიკაზე და, ალბათ, მორალზე“.[7] *ასლან ბჟანიამ* კი განაცხადა: „ძლიერ მეეჭვება, სალომე ზურაბიშვილი სიმპათიებს განიცდიდეს აფხაზეთის ხელისუფლების ან ოპოზიციის მიმართ. ვფიქრობ, ის ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობს: „რაც უარესი, მით უკეთესი“.[8]

რეზონანსული გამოდგა 2024-ის საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში *ბიძინა ივანიშვილის* მიერ გორში გაჟღერებული ბოდიშიც სამხრეთელი ოსების მისამართით. სოხუმმა (როგორც დე-ფაქტო ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ) მოუწონა ეს ნაბიჯი და იქვე მიანიშნა, რომ იგივე უნდა გაკეთდეს აფხაზების მიმართაც და მოხაზა კიდეც ბოდიშის შემდგომი ის **ცალმხრივი** ნაბიჯები, რომლებიც **უნდა** გადადგას თბილისმა - ძალის არგამოყენების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის გაუქმება, რაც, აფხაზების ლოგიკით, უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით.[9] აღიარების შემთხვევაში კი, სავარაუდოდ, აფხაზური მხარე დააყენებს რეპარაციების საკითხს (10 მილიარდ დოლარზე თანახმა იქნებიან [10]).

ჩვეულებისამებრ, რუსეთისთვის პრივილეგირებული საინვესტიციო კლიმატის შექმნაში არა მხოლოდ რუსული, არამედ ქართული საფრთხის დანახვაც მოახერხეს აფხაზებმა - ბ. ივანიშვილი (და რუსეთის მოქალაქეობის მქონე შეძლებული ეროვნებით ქართველი ბიზნესმენები) რუსეთის გავლით შეიძენს რაღაცეებს აფხაზეთში და მერე უყარე კაკალი ქართველების მოძალებასო.

---

6 https://tabula.ge/ge/news/725801-zurabishvili-okupirebul-apkhazetze-ruseti-dgams 15.11.2024

7 https://www.radiotavisupleba.ge/a/33205379.html 17.11.2024

8 https://www.radiotavisupleba.ge/a/33210637.html 21.11/2024

9 https://www.bpn.ge/article/133052-okupaciis-kanonis-gaukmeba-da-apxazetis-gavlit-tranzitis-agdgena-ras-stavazobs-bzhanias-opozicia-tbiliss/ 25.11.2024

10 https://www.gazeta.ru/politics/news/2022/12/28/19381135.shtml 28.12.2022

2

პოლიტიკური პროცესები საქართველოსა და აფხაზეთში

პოლიტიკური პროცესები საქართველოში და მათი გამოძახილი აფხაზეთში

საქართველოში ბოლოდროინდელი პოლიტიკური პროცესის ყველა ასპექტს აქ, ბუნებრივია, არ (და ვერ) შევეხებით; მოკლედ მიმოვიხილავთ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც უშუალო შეხებაშია კონფლიქტებთან და განხილვის თემა გახდა აფხაზეთში (საკუთრივ საქართველოში არჩევნების შემდგომ განვითარებულ პროცესებში კონფლიქტების თემა არანაირად არ ფიგურირებს).

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოში ნამდვილად მიიპყრო უწინდელზე მეტი ყურადღება აფხაზურ საზოგადოებაში. საიდუმლო არაა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება წინამორბედებთან შედარებით უფრო „ასატანია“ აფხაზეთში და ეს ერთნაირად ვრცელდება როგორც დეფაქტო ხელისუფლებაზე, ისე ოპოზიციაზე.[11] ბოლო ოთხი წლის მანძილზე თბილისის უინიციატივობამ კონფლიქტების მიმართულებაზე ერთგვარად დაამშვიდა სოხუმი ქართველთა „რევანშისტული“ განზრახვების კუთხით. ასე ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო ლოზუნგმაც „ჩვენ მშვიდობას უზრუნველვყოფთ“, არა მხოლოდ თბილისის მიერ კონტროლირებად, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებზეც იმუშავა საკმაო წარმატებით. ყოველ შემთხვევაში, „ოცნების“ ხელისუფლებისგან ძალისმიერ ავანტურებს არ ელოდნენ და არ ელიან და ამიტომაც სხვებთან შედარებით მას „გულშემატკივრობდნენ“.

არც დასავლეთთან თბილისის ურთიერთობების მკვეთრი გაუარესება (ორმხრივი პროცესია და საკუთარი წვლილი მასში დასავლეთმაც შეიტანა, მაგრამ ეს - ცალკე საუბრის თემაა) დარჩენილა უყურადღებოდ აფხაზურ საზოგადოებაში. ევროინტეგრაციის საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა[12] აზიანებს საქართველოს იმიჯს და ამცირებს მის მიმზიდველობას აფხაზთა თვალში. შესაძლო (სავალალო) შედეგები, როგორიცაა შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის, ევროპაში მუშაობის, ფინანსური მხარდაჭერისა და სხვა (ევროკავშირის კანდიდატი-ქვეყნებისთვის გათვალისწინებული) პრივილეგიების შეჩერება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოსთან დაახლოების მიზანშეწონილობას აფხაზთა თვალში (თუმცა საჯარო დისკუსიები ამ და მსგავს საკითხებზე არ იმართება). დასავლეთისგან განმდგარი/იზოლირებული საქართველო, სადაც პერსონალისტური რეჟიმი ავტორიტარული მმართველობისათვის დამახასიათებელ თვისებებს განუხრელად იძენს და ამჟღავნებს, არაფრითაა უფრო მომხიბვლელი მათთვის, ვიდრე ჩრდილოელი მეზობელი, რომელსაც რესურსი მეტი აქვს, ხოლო ასიმილირების კუთხით ნაკლებად სახიფათოდ მიიჩნევა (იხ.ზემოთ).

უკვე ნახსენები ბოდიში სამხრეთელი ოსების მიმართ, კამპანიის მსვლელობაში დაჟინებული საუბარი კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვების საჭიროებაზე კონფლიქტების მოგვარების კონტექსტში (რაც არანაირი კონკრეტიკით არ ყოფილა დასაბუთებული და გაუგებარი დარჩა კონფლიქტების თემატიკაზე მომუშავე სპეციალისტებისთვის), ხოლო პარლამენტის პირველ შეკრებაზე *შ.პაპუაშვილისა* და *მ.მდინარაძის*[13] მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ხაზგასმული მოხსენიება აჩენს კითხვას: ეს ყველაფერი ერთობლიობაში უბრალოდ სიტყვის მასალაა, თუ წინასწარ დაგეგმილი პოლიტიკური კურსის ერთგვარი ანონსი? თუკი ეს ახალი და აქტიური პოლიტიკის დასაწყისია, მაშინ, გამორიცხვის მეთოდით (დასავლეთთან გაფუჭებული ურთიერთობების პირობებში ის დღევანდელ ხელისუფლებას პარტნიორობას არ გაუწევს, ხოლო ამ საქმეში, ვთქვათ, ჩინეთის მონაწილეობაზე საუბარი არასერიოზულია), მივალთ დასკვნამდე, რომ ეს პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობების

11 https://www.bpn.ge/article/133052-okupaciis-kanonis-gaukmeba-da-apxazetis-gavlit-tranzitis-agdgena-ras-stavazobs-bzhanias-opozicia-tbiliss/ 25.11.2024

12 https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html 28.11.2024

13 “რაც შეიძლება ჩქარა და მალე ჩვენ გაერთიანებული ქვეყნის პარლამენტის წარმომადგენლები უნდა ვიყოთ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან ერთად“ განაცხადა მ.მდინარაძემ 25 ნოემბრის სხდომაზე https://www.interpressnews.ge/ka/article/821523-mamuka-mdinaraze-gvakvs-sashualeba-rom-batoni-bizinas-liderobit-or-pexzec-vidget-erovnul-interesebsac-vemsaxurot-male-gaertianebuli-kveqnis-parlamentis-carmomadgenlebi-unda-viqot-apxazettan-da-cxinvalis-regiontan-ertad

ჩარჩოებში განხორციელდება. ანუ, დასავლეთისგან დისტანცირება ბუნებრივად (ყოვლისმომცველი რუსულ-დასავლური ანტაგონიზმის ატმოსფეროში) აჩენს ეჭვს (მათ შორის - სოხუმშიც) - ხომ არ ნიშნავს ეს თბილისის მოსკოვთან დაახლოებას? ამ შემთხვევაში ხომ რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე საქართველოს გადასვლის ფასად მოსკოვი აფხაზეთს „გაწირავს“, ანუ საქართველოს „დაუბრუნებს“, შიშობენ აფხაზები.[14] „დაბრუნებაზე“ საუბარი, თუმცაღა, მოკლებულია რეალურ საფუძველს, რადგან ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, როცა რუსეთს ვინმესთვის რამე წართმეული ნებაყოფლობით დაებრუნებინა. რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებებიც ამას ადასტურებს.[15]

ამ გზით ამოძრავების შემთხვევაში, შეიძლება მოიძებნოს პრობლემის იმგვარი გადაწყვეტა, რომელიც სამიდან (თბილისი, მოსკოვი და სოხუმი) რომელიმე ორს სახის შენარჩუნების საშუალებას დაუტოვებს (რომელს - მეტად და რომელს - ნაკლებად გასაგებია ამ სამს შორის ვეებერთელა ასიმეტრიიდან გამომდინარე), თუმცა არ ჩანს ისეთი ფორმულა, რომელიც სამივესთვის იქნება მისაღები. სპეკულაციებს ამ თემაზე აქ არ მოვყვებით, მაგრამ თუკი უახლოეს პერიოდში დაიწყება საუბარი, მაგალითად, აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის ამოქმედებაზე, ეს გახდება თვალსაჩინო მინიშნება იმისა, რომ ამოძრავდნენ.

პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში

მიმდინარე წლის ნოემბერში აფხაზეთში ზედიზედ მესამე „პრეზიდენტს“ ვადამდე დაატოვებინეს პოსტი ძალდატანების გზით. ამგვარი პროცედურა უკვე ერთგვარ „ბრენდად“ იქცა აფხაზური ეთნო(დემო)კრატიისთვის,[16] რასაც, სხვა გარემოებებთან ერთად, საზოგადოების კლანური სტრუქტურაც უწყობს ხელს. ამჟამინდელი ვნებათაღელვის ეპიცენტრში მოექცა შეთანხმება რუსეთთან ამ უკანასკნელისთვის აფხაზეთში პრივილეგირებული საინვესტიციო გარემოს შექმნის თაობაზე, რასაც სხვადასხვა კუთხით (ერთ-ერთზე ზემოთ ითქვა) სახიფათოდ მიიჩნევს იქაური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. თუმცა, მოულოდნელი, თითქოს, არაფერი მომხდარა - წლების მანძილზე ულმობლად გროვდებოდა რუსეთიდან წამოსული ინიციატივები, რომელთა დღის წესრიგში შეტანა მსგავს ემოციებს აღძრავდა.[17]

ამჯერად აფხაზური ოპოზიციის მთავარი თეზისია: წინა ხელისუფლებების დროს რუსეთთან უფრო დაბალანსებული (თანასწორუფლებიანი) ურთიერთობები გვქონდა; ა.ბჟანიას „პრეზიდენტობის“ პირობებში კი ამ ურთიერთობებმა ცალმხრივი - მხოლოდ რუსეთისთვის მომგებიანი - ხასიათი შეიძინესო. ოპოზიციის ამ თეზისში სიმართლის მხოლოდ ნაწილია: უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომის ფონზე მოსკოვმა გააძლიერა ზეწოლა სოხუმზე, შეუჩერა დოტაციები (შეიძლება ვერ გადაუხადონ ხელფასები საჯარო მოხელეებს) და ციტრუსების რუსულ ბაზარზე გატანა, აღარ ეხმარება ენერგეტიკული კრიზისის დაძლევაში და ა.შ., რა პირობებშიც დე-ფაქტო ხელისუფლებას, უბრალოდ, არ აქვს არანაირი რესურსი, რათა გაუძლოს ამ ზეწოლას. სხვა „პრეზიდენტიც“ აღმოჩნდებოდა ა.ბჟანიასნაირ - გამოუვალ - მდგომარეობაში და იძულებული გახდებოდა უკან დაეხია. მეტიც - ვინც არ უნდა აირჩიონ შემდეგ „პრეზიდენტად“, ისიც იმავე გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება და არსებითად ვერ შეცვლის პოლიტიკას.[18] ეს კი - იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რუსეთის გარდა დღევანდელ აფხაზეთს სხვა ალტერნატივა არ აქვს (არ დაიტოვა, ვერ შეიქმნა). მაშინ, როცა გრძელდება ქართველი მტრის ხატის კულტივირება აფხაზობაში, მზარდი ანტირუსული განწყობები ვერ „ითარგმნება“ პროქართული განწყობების აღმოცენებაში. თუმცა, გამოცდილი თვალი იმასაც შეამჩნევს, რომ დაიწყო ქართველი მტრის ხატის ერთგვარ *კარედად*[19] გადაქცევის პროცესი: ცენტრში (მსხვილად და რელიეფურად) რჩება ქართველი „მტერი“, ხოლო ერთ გვერდზე (უფრო წვრილად და ნაკლებად მძაფრად) მას რუსი ოლიგარქები უმშვენებენ გვერდს (იხ. შემდეგი ქვეთავი), მეორეზე კი ადგილობრივი „არაკეთილსაიმედო ელემენტების“ ჯერ მხოლოდ გრაფიკული ესკიზი იღებს კონტურებს.

ასეა, თუ ისე, ა.ბჟანია გადადგა/გადააყენეს (მას „პრემიერი“ *ა.ანქვაბიც* მიაყოლეს, რომელიც 2014 წელს ასევე ვადამდე გადააყენეს პრეზიდენტობიდან, მათ შორის - გალის ეთნიკურად ქართული მოსახლეობისთვის „აფხაზური პასპორტების“ დარიგების ბრალდებით) და 2025 წლის 15 თებერვლისთვის

---

14 განვითარების ამგვარ სცენარს არ გამორიცხავს რუსი ექსპერტი ს.მარკედონოვიც; იხ.მაგ.: С.М. Маркедонов: «ТРАНСФОРМАЦИЯ КОНФЛИКТНОГО ПОЛЯ В АБХАЗИИ: СОВРЕМЕННАЯ ПОЛИТИКА И ИСТОРИЧЕСКИЙ КОНТЕКСТ», МИРОВАЯ ЭКОНОМИКА И МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ, 2024, том 68, № 12, сс. 111-121

15 იხ.მაგ.: https://civil.ge/ru/archives/628768 18.10.2024

16 აფხაზეთში დარჩენილი ეთნიკური ქართველების ტოტალურ დისკრიმინაციაზე რომ არაფერი ვთქვათ, სხვა არააფხაზი ეთნიკური ჯგუფებისა და მოქალაქეების უფლებების შეზღუდვაზე მიგვანიშნებს, მაგალითად, აფხაზეთის ე.წ. კონსტიტუციის 49-ე მუხლი, რომლის თანახმად „პრეზიდენტად“ შეიძლება აირჩეს მხოლოდ აფხაზი ეროვნების მოქალაქე (ავტორის შენიშვნა).

17 უფრო დეტალურად იხ.მაგ.: მამუკა კომახია: „პოლიტიკური კრიზისი ოკუპირებულ აფხაზეთში: რა მოხდა და რას უნდა ველოდოთ“, https://gfsis.org/political-crisis-ab/ 21.11.2024 აგრეთვე: ქეთი სართანია: „რადიკალური მორჩილება და პროტესტი აფხაზეთში“, https://indigo.com.ge/articles/radikaluri-morchileba-da-protesti-afxazetshi?fbclid=IwY2xjawGtETNleHRuA2FlbQIxMQABHdfLYW5xZJhRsj4N2Y7FL36KnAsuVjGb49Q5CSBhwI-YPzdjTs3kWbtezA_aem_-LVSmexY-WXTPd3P20jVhA 20.11.2024

18 Olesya Vartanyan: “No Way Forward, No Way Back”, IPS, https://www.ips-journal.eu/topics/democracy-and-society/no-way-forward-no-way-back 7939/?utm_campaign=en_1262_20241126&utm_medium=email&utm_source=newsletter 25.11.2024

19 კარედი - ხატი, რომლის ცენტრალური ნაწილის ორივე მხარეს მიბმულია მოძრავი კარი (ფრთა) https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/, რაკი მოძრავია, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაიხსნას, შეიძლება დაიკეცოს - ავტ.შენიშვნა.

ვადამდელი არჩევნები ჩაინიშნა (რიგითი არჩევნები მარტში უნდა გამართულიყო). დეკემბრის დამდეგისთვის პრეზიდენტობის კანდიდატებად განიხილება სამი პერსონა: ა.ბჟანია, ა.არძინბა და ო.ბარციცი.[20] საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ არჩევნებამდე გასატარებელია საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც შეზღუდავს ე.წ. პრეზიდენტის უფლებამოსილებებს, ხოლო მომავალი საპარლამენტო არჩევნების შერეული - მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით ჩატარებას უზრუნველყოფს. აქტუალური რჩება სასამართლო რეფორმისა და კორუფციასთან რეალური ბრძოლის საკითხიც, რომელიც კლანური სტრუქტურისა და საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული (და ჯერაც დაუძლეველი) ცხოვრების წესის გამო სერიოზულად აფერხებს განვითარებას და ხშირად ამა თუ იმ „პოლიტიკური“ გადაწყვეტილების მიღმაც საკმაოდ ადვილად ამოიკითხება.

20 სტატიაზე მუშაობის დასრულების შემდეგ გაჩნდა მეოთხე კანდიდატიც - ბადრა გუნბა.

3

მოსკოვის პოლიტიკა ქართულ - აფხაზური კონფლიქტის მიმართ

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში თბილისსა და მოსკოვს შორის განელებული დაძაბულობა ერთგვარად აშფოთებს აფხაზობას; იქაურ საზოგადოებრივ დისკურსში სწორედ საქართველოს პარლამენტის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას *საიდანღაც* გაჩნდა ქართულ-აფახაზური კონფედერაციის თემა და, შესაბამისად, ეჭვიც, რომ თუკი თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების ნორმალიზებისკენ სვლა ხელშესახებ *პოლიტიკურ* და არა მხოლოდ რიტორიკულ და, თუნდაც, ეკონომიკურ შედეგებს გამოიღებს, მაშინ რუსეთის ორბიტაზე საქართველოს გადასვლის ფასად მოსკოვი აფხაზეთს „გაწირავს“, ანუ საქართველოს „დაუბრუნებს“. ამგვარი „გაწირვის“ არანაირი ნიშანი კი არ ჩანს: მოსკოვი ერთი ხელით მიზანმიმართულად უზრუნველყოფს თავისთვის სუპერკომფორტული სივრცის ჩამოყალიბებას აფხაზეთში, მარტივად რომ ვთქვათ - აფხაზეთის ფაქტობრივ ანექსიას აწარმოებს, იმავდროულად კი „საზღვრების“ დელიმიტაციისკენ მოუწოდებს თბილისს ჟენევის დისკუსიებზე. რომც წარმოვიდგინოთ რუსეთის მიერ საქართველოსთვის აფხაზეთის „დათმობა“, ამას მხოლოდ ფორმალური/სიმბოლური ხასიათი ექნება, რადგან აფხაზეთში მძლავრად ფეხმოკიდებული რუსეთის პოზიციების შერყევა საქართველოს შესაძლებლობებს აღემატება (განჭვრეტად პერსპექტივაში მაინც).

აფხაზეთში განვითარებულ კრიზისთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოზიცია „მეზობელი და მეგობარი აფხაზეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობაა“.[21] თუმცა, აფხაზეთის მიმართ სხვა (და სხადასხვანაირი) შინაარსის გზავნილებიც გაჟღერდა რუსეთის დუმის იმ წევრთაგან, ვინც უშუალო შეხებაშია აფხაზეთის პრობლემატიკასთან. ასე, დუმის დსთ-სა და ევრაზიული ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, *კონსტანტინ ზატულინმა* დაწერა: “იმის მიმართ, რაც ხდება აფხაზეთში, გულგრილი ვერ ვიქნები. სირცხვილია, როდესაც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, აფხაზეთსა და რუსეთს შორის შეთანხმების (არა) რატიფიცირების საბაბით გადატრიალების მცდელობა ხდება. შეგიძლიათ გადაამოწმოთ ეს შეთანხმება ან მოძებნოთ მასში უარყოფითი ნიშნები. მასში არაფერია ისეთი, რაც არ არის ნაკარნახევი აფხაზეთისთვის ინვესტიციების მოზიდვაში დახმარების სურვილით – სამუშაო ადგილების შექმნა რესპუბლიკის იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც იძულებულნი არიან ეძებონ სამუშაო მეზობელ რუსეთში. თუ ისტორიულად მოკლე პერიოდში, ერთი თაობის თვალწინ, ბრბო მესამედ დაამხობს ხელისუფლებას, შეიძლება თუ არა ასეთ სახელმწიფოს სახელმწიფო ვუწოდოთ?”[22]

კ.ზატულინის კოლეგის *სერგეი მარკოვის* აზრით კი “აფხაზების აჯანყება არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რუსი ოლიგარქების წინააღმდეგაა, უფრო ზუსტად კი, სოჭის დეველოპერების წინააღმდეგ. ხალხი შიშობს, რომ ახალი კანონი რუს ოლიგარქებს მთელი სანაპირო ზოლის ყიდვის საშუალებას მისცემს და ხალხს არაფერი დარჩება. ბოლო რაც აქვთ – ყველასათვის საერთო მიწა – წაართმევენ“.[23]

ცხადია, აფხაზთა ურჩობა - საინვესტიციო შეთანხმების რატიფიცირება აფხაზეთის სახალხო კრებამ („პარლამენტმა“) ჩააგდო უკვე ა.ბჟანიას გადადგომის შემდეგ - აღიზიანებს მოსკოვს, მაგრამ ამ უკანასკნელის ხელთ სოხუმზე ზემოქმედების იმდენი ბერკეტია, რომ, საბოლოო ანგარიშით, აფხაზთა „ეს განწირული სულისკვეთება“ განწირულადვე დარჩება, თუკი... მოკლედ, „დასავლეთის ფრონტის“ მსგავსად (იხ. შემდეგი ქვეთავი), „ჩრდილოეთის ფრონტიც“ ჯერ-ჯერობით უცვლელია.[24]

21 https://mid.ru/ru/foreign_policy/news/1981814/ 15.11.2024

22 https://jam-news.net/ge/koaliciuri-mtavroba-da-reformebi-akhali-saprezidento-archevnebi-gamosavali-politikuri-chikhidan-afkhazetshi/ 17.11.2024

23 იქვე

24 ალუზია ერიხ მარია რემარკის რომანის სახელწოდებასთან „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“.

4

დასავლეთის პოლიტიკა საქართველოში კონფლიქტების მიმართ

2009 წლის სექტემბერში, როდესაც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, *მიხეილ სააკაშვილი* აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, *ჰილარი კლინტონს* შეხვდა, ამერიკულმა მხარემ პირველად გააჟღერა თავისი რეკომენდაცია თბილისის მისამართით „სტრატეგიული მოთმინების" (strategic patience) თაობაზე. რეკომენდაციის არსი ის იყო, რომ რაკი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრის მოკლევადიანი პერსპექტივა არ იკვეთებოდა, წინსვლის საუკეთესო გზა იქნება სტრატეგიული მოთმინება, როცა საქართველომ უნდა წარმოაჩინოს თავი, როგორც უფრო ძლიერმა, მიმზიდველმა, დემოკრატიულმა ქვეყანამ.[25]

იმავე წლის მიწურულს, მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის გარემოებების დამდგენი საერთაშორისო კომისიის (ე.წ. ტალიავინის კომისია) დასკვნა გამოქვეყნდა, ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტმა (Political and Security Committee of the Council of the European Union) დაამტკიცა პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს: (1) არაღიარებასა და (2) ჩართულობას (NREP, Non-Recognition and Engagement Policy for Abkhazia and South Ossetia). ოფიციალური დოკუმენტი (თუკი ასეთი არსებობს), რომელიც დეტალურად აღწერს ამ პოლიტიკის არსსა და ეტაპებს, არ გამოქვეყნებულა. გარკვეულ შთაბეჭდილებას ამ პოლიტიკის მიზნებზე და ინსტრუმენტებზე იძლევა 2010 წლის დეკემბერში გამართული საერთაშორისო ღონისძიების შემაჯამებელი ანგარიში.[26] ამ ანგარიშით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული პოლიტიკის მეორე (ჩართულობის) შემადგენელი (პირველი - არაღიარება - წარმატებით მუშაობს და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის ფონზე მას არაფერი უნდა დაემუქროს მომავალშიც) განსაკუთრებით ორიგინალურს არაფერს შეიცავს და კეთილი (მეტად თუ ნაკლებად რეალისტური) სურვილებითა და ზრახვებითაა გაჯერებული. მას შემდეგ განვლილი 15 წლის მანძილზე რუსეთის ფედერაციის მიერ ჯერ ყირიმის, შემდგომ კი უკრაინის რამდენიმე სხვა რეგიონის ფაქტობრივი (და „სამართლებრივი" - რუსულ ყაიდაზე) ანექსიის შემდეგაც კი NREP-ში რაიმე ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, მაგალითად, კვლავინდებურად ძალაშია თუ არა პუნქტი, რომლის თანახმად საჭიროა „რუსულ ძალებთან და დიპლომატებთან მუდმივი კონტაქტის ქონა, რათა ისინი მოექცნენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მეტ-ნაკლები კონტროლის ქვეშ".[27]

ამდენად, იმ პირობებში, როცა საქართველოს ხელისუფლებას არ დაუბლოკავს *არც ერთი* საერთაშორისო პროექტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ლოგიკურად ისმის კითხვა: საკუთრივ ევროკავშირს ნაყოფიერად მიაჩნია ეს პოლიტიკა არსებული სახით? ნებისმიერი სტრატეგია/პოლიტიკა დროდადრო გადახედვა/გადააზრება/კორექტირებას ხომ მოითხოვს? როდის გადახედა უკანასკნელად ევროკავშირმა თავის პოლიტიკას? რა სიახლეები გაჩნდა? რა არის ამოღებული (ან შეცვლილი) იქიდან, რამაც ვერ იმუშავა? ბოლოდროინდელი დინამიკა ხომ ერთმნიშვნელოვნად შემაშფოთებელია (რომ არ ითქვას საგანგაშო), როცა ევროკავშირის სპეცწარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში აფხაზეთში შესვლას უკრძალავენ, UNDP-ის აქტივობას წყვეტენ, ხოლო ადგილზე ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო (მათ შორის - არასამთავრობო) ორგანიზაციების პარტნიორებს და საკუთრივ ამ ორგანიზაციებსაც ესხმიან თავს?[28] ნუთუ ეს (და სხვა) მოვლენები არ იმსახურებს ადეკვატურ რეაქციას ევროკავშირის მხრიდან? ვნახოთ, მოუხერხდება თუ არა ევროკავშირის პოლიტიკის ჩართულობის ნაწილისთვის ახალი იმპულსის მიცემა ევროკავშირის ახალსავე სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს კრიზისის საკითხებში *მაგდალენა გრონოს*, რომელსაც სამხრეთ კავკასიის პრობლემატიკაზე მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს.

აფხაზეთში პარადოქსული ვითარება შეიქმნა: სა-

25 https://kvirispalitra.ge/article/754-hilari-klintonma-saqarthvelos-mothmineba-urchia/ 28.09.2009

26 European Union for Security Studies, Seminar Report by Sabine Fischer NREP_report.pdf (europa.eu)

27 იქვე

28 დე-ფაქტო „იუსტიციის მინისტრმა" ანრი ბარციცმა აუწყა საზოგადოებას, რომ „დასავლური სპეცსამსახურები წლების მანძილზე აფინანსებდნენ აფხაზეთში არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეულ წარმომადგენლებს ქვეყანაში ქაოსის შექმნის მიზნით", https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/22428583 18.11.2024

5

არსებული ვითარება

ფრთხის მთავარი წყარო მისივე უსაფრთხოებისა და „დამოუკიდებლობის“ მთავარი და, არსებითად, ერთადერთი გარანტი - რუსეთი - გახდა. მეტიც - უკრაინაში ომის დასრულების არც ერთი სცენარი აფხაზებისთვის სახარბიელო არ არის, ამ დროს კი რუსების მხარეს იბრძვიან (და იღუპებიან), რაც, ნებისმიერი ლოგიკით, მათივე მისწრაფებების საწინააღმდეგო აქტია. აფხაზთა მეხსიერებაში უეჭველად დაილექა „ყარაბაღის პრეცედენტიც“, როცა აზერბაიჯანმა სამხედრო გზით აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო რუსეთის ფედერაციამ არ აღმოუჩინა დახმარება თავის სტრატეგიულ პარტნიორს - სომხეთს (საკითხის ფორმალური მხარე გვერდზე რომ გადავდოთ).

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციები მტკივნეულად აისახება აფხაზეთზე (დეფიციტი, ფასების მატება, იზოლაცია, რუსული დომინაციის ზრდა). გართულდა ფსოუზე საზღვრის გადაკვეთა - რუსი მესაზღვრეები პრობლემებს უქმნიან აფხაზებს (განსაკუთრებით მათ, ვინც რუსეთისთვის არასახარბიელო რიტორიკაშია შემჩნეული). გართულდა რუსული პასპორტის მიღება და ახალგაზრდების უმრავლესობას ის არ აქვს, ანუ მათ თეორიულადაც კი აღარ შერჩათ ევროპაში (და სხვაგან) მოგზაურობის შესაძლებლობა. ამ პირობებში მხოლოდ თბილისის ხელისუფლება ინარჩუნებს ინსტრუმენტებს, რათა შეარბილოს აფხაზეთის გარე სამყაროდან იზოლაციის ხარისხი (ანუ, წარმოაჩინოს თავი რუსეთის ალტერნატივად), რაც, თუმცაღა, მოითხოვს სოხუმისგან შემხვედრ ნაბიჯს ენგურზე გადაადგილების რეჟიმის ხელშესახები შერბილების თვალსაზრისით.

თუმცა, თბილისს ახლა საამისოდ არ სცალია. ღრმა და მწვავე პოლიტიკური კრიზისის ამა თუ იმ ფორმულით მოგვარებამდე და შიდაპოლიტიკური ვითარების დასტაბილურებამდე, რაიმე ნოვატორული ხასიათის ნაბიჯების გადადგმა კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით (თუკი ქართულ პოლიტიკურ კლასს საერთოდ აქვს გააზრებული ტრანსფორმაციული მიდგომის პრაქტიკული განხორციელების მიზანშეწონილობა) მოსალოდნელი არაა. ახლა საკითხავი უფრო ისაა, რომელ „კალათაში“ - დასავლურში თუ რუსულში - აღმოჩნდება ქვეყანა იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტულად როგორი ფორმულით დაიძლევა კრიზისი. თუ პირველით (დასავლური „კალათა“), მაშინ დასავლეთსაც მოუწევს წინა ქვეთავში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ჩართულობის ნაწილში საკუთარი პოლიტიკის გაცოცხლება/გადახალისება. ხოლო თუკი რუსულ „კალათაში“ აღმოვჩნდებით, მაშინ... მაშინ ჩვენი (არა მხოლოდ კონფლიქტების თემატიკაზე მომუშავე, არამედ ფართო საზოგადოების) მონაწილეობის გარეშეც „დალაგდებიან“ მოსკოვის სცენარით „ქართული ოცნების“ ასიმეტრიული თანამონაწილეობით.

6

რა ვქნათ?

მაინც უნდა ვცადოთ (როგორც პრაქტიკა ადასტურებს, მოსკოვის სცენარები ყოველთვის როდი უძლებს დროით გამოცდას; never say never) იმ სივრცის ათვისება, რომელიც ქართულ და აფხაზურ „წითელ ხაზებს“ შორისაა მოქცეული.[29] სხვანაირად ამას *კონფლიქტის ტრანსფორმაცია* ეწოდება, როცა დიამეტრულად განსხვავებული მიდგომები უმნიშვნელოვანესი და ყველაზე უფრო მგრძნობიარე პოლიტიკური საკითხების მიმართ გვერდზეა გადადებული და ორივე მხარე ცდილობს ურთიერთქმედებითა და თანამშრომლობით გააუმჯობესოს საკუთარი მოქალაქეების ყოველდღიური ყოფა და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება. ხაზს ვუსვამთ - ორივე მხარე!!! - რამეთუ ცალმხრივი ტრანსფორმაცია მავნე ილუზიაა; ის მხოლოდ ნაცვალგების პრინციპს შეიძლება დაეფუძნოს. წარმოუდგენელია, მაგალითად, ქართულმა მხარემ იზრუნოს აფხაზებისთვის გარე სამყაროს გახსნის თაობაზე, აფხაზური მხარე კი გალის რაიონში „განქართველებას“, ან, თუ გნებავთ - დექართველიზაციას აგრძელებდეს.

ურთიერთქმედება/თანამშრომლობის არეალი ზემოხსენებული პირობის დაცვით კი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ სფეროებს (რანჟირების გარეშე):

- გადაადგილების თავისუფლება;
- ტრანსპორტი, ტრანზიტი, ტურიზმი;
- ვაჭრობა და ფინანსები;
- ორგანიზებულ დანაშაულთან ერთობლივი ბრძოლა;
- სამართალდამცველების ურთიერთქმედება გამყოფი ხაზის გასწვრივ;
- გალის რაიონის მცხოვრებთა უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა;
- განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი;
- ინტერნეტის ალტერნატიული წყარო აფხაზეთის ტერიტორიაზე;
- ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა.

ამასთან, კონტრპროდუქტიული იქნება იმგვარი მოლოდინის შექმნა, თითქოს რომელიმე პრობლემის კომპლექსურად მოგვარება შესაძლებელი გახდება სწრაფად და მარტივად. საჭიროა სხვაზე უფრო პერსპექტიული მიმართულებების ერთობლივად იდენტიფიცირება/პრიორიტეტიზება, ნაბიჯნაბიჯ შემხვედრი მოძრაობა შედარებით მარტივიდან უფრო რთულისკენ, პროგრესის მიღწევა იქ, სადაც ის რეალურად მიღწევადია, დამდგარი მიღწევა/შედეგების სათანადოდ წარმოჩენა საზოგადოებისთვის.

ამ - კონფლიქტის ტრანსფორმაციის - გზაზე სასიარულოდ გარდაუვალია დიალოგის გადაყვანა უფრო მაღალ დონეზე, საზოგადოებების სხვადასხვა კლასტერსა და კონკრეტული სფეროების სპეციალისტთა ჯგუფებს შორის არაფორმალური დიალოგის შენარჩუნებით. თავდაპირველად ეს შეიძლება იყოს track-1.5 ფორმატი (რის გამოცდილებაც მხარეებს ჰქონდათ), შემდგომ კი - გადაწყვეტილებების უშუალოდ მიმღებთა დონეზე გადასვლით.

საკუთარი მშვიდობიანი მიდგომების გულწრფელობისა და უალტერნატივობის მუდმივად წარმოჩენის პარალელურად, ქართულმა მხარემ უნდა გააძლიეროს ანტი-ანექსიური ნარატივი,[30] რადგან, ანტისაოკუპაციოსგან განსხვავებით (აფხაზები, როგორც ცნობილია, რუსეთის მიერ ოკუპაციას არ აღიარებენ), აქ ჩვენი ინტერესების თანხვედრა აშკარა და უდავოა, თუმცა, ცხადია, არც ანტიოკუპაციური ნარატივი უნდა გაქრეს ქართული დღის წესრიგიდან.

---

29 დეტალურად იხ.: ივლიანე ხაინდრავა: „წითელი ხაზებისა და არა მხოლოდ მათ შესახებ“, GFSIS, ექსპერტის აზრი #151, 2020, https://gfsis.org.ge/ge/publications/view-opinion-paper/151

30 იხ.მაგ.: თორნიკე შარაშენიძე: „როგორი უნდა იყოს საქართველოს მიერ გატარებული ანექსიის საწინააღმდეგო პოლიტიკა“, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, დეკემბერი, 2023, https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2024-03/1710942785_thornike-sharashenidze_rogori-unda-iyos-saqarthvelos-mier-gatarebuli-aneqsiis-satsinaaghmdego-politika.pdf

გამოყენებული ლიტერატურა

Ivlian Haindrava, "Transformation: On the Role of Georgian-Abkhaz and Georgian-Ossetian Conflicts in Georgian-Russian Relations", GEORGIAN AND RUSSIAN EXPERTS SEARCHING FOR WAYS OF NORMALIZATION, GFSIS, https://gfsis.org.ge/files/library/pdf/English-2467.pdf 2017

Ivlian Haindrava, "Cost of Gains", GEORGIAN AND RUSSIAN EXPERTS SEARCHING FOR WAYS OF NORMALIZATION, GFSIS, https://gfsis.org.ge/files/library/pdf/English-2525.pdf 2018,

მაია ბარქაია, „ომით გაყოფილი ისტორია: კონფლიქტები და ისტორიის სწავლება საქართველოში", კავკასიური სახლი, https://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2019/12/%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-2019.pdf 2019

ნათია ჭანკვეტაძე, „კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე", ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, http://mikeladzefoundation.org/uploads/files/2020-07/1594891632_konfliqtis-transformacia_geo.pdf მარტი, 2020

ივლიანე ხაინდრავა, „კონფლიქტის მხარეებს შორის სოციალურ-კულტურული გაუცხოება: რამდენად სახიფათოა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შერიგების პერსპექტივისთვის?" ლ.მიქელაძის სახ. ფონდი, https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2021-09/1631184217_ivliane-khaindarva-konfliqtis-mkhareebs-shoris-socialur-kulturuli-gauckhoeba.pdf აგვისტო-სექტემბერი, 2020

ივლიანე ხაინდრავა, „წითელი ხაზებისა და არა მხოლოდ მათ შესახებ", GFSIS, ექსპერტის აზრი #151, https://gfsis.org.ge/ge/publications/view-opinion-paper/151 2020

თორნიკე შარაშენიძე, „უკრაინის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გავლენა საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივაზე", ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2022-04/1650359949_thornike-sharashenidze_politikis-dokumenti.pdf აპრილი, 2022

თორნიკე შარაშენიძე, „როგორი უნდა იყოს საქართველოს მიერ გატარებული ანექსიის საწინააღმდეგო პოლიტიკა", ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2024-03/1710942785_thornike-sharashenidze_rogori-unda-iyos-saqarthvelos-mier-gatarebuli-aneqsiis-satsinaaghmdego-politika.pdf დეკემბერი, 2023

ნინო კალანდარიშვილი, „აფხაზურ საზოგადოებაში საქართველოსა და ქართველების ფაქტორის აღქმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისა და ყარაბაღის ირგვლივ განვითარებული მოვლენების ფონზე", ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2024-03/1710944765_nino-kalandarishvili_politikis-dokumenti.pdf თებერვალი, 2024

მამუკა კომახია, „ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი: როგორ იცვლებოდა რუსეთის პოლიტიკა 1990-იანი წლებიდან 2024 წლამდე", GFSIS, ექსპერტის აზრი #223, 2024

ქეთი სართანია, „რადიკალური მორჩილება და პროტესტი აფხაზეთში", https://indigo.com.ge/articles/radikaluri-morchileba-da-protesti-afxazetshi?fbclid=IwY2xjawGtETNleHRuA2FlbQIxMQABHdfLYW5xZ-JhRsj4N2Y7FL36KnAsuVjGb49Q5CSBhwI-YPzdjTs3kWbtezA_aem_-LVSme-xY-WXTPd3P20jVhA 20.11.2024

მამუკა კომახია, „პოლიტიკური კრიზისი ოკუპირებულ აფხაზეთში: რა მოხდა და რას უნდა ველოდოთ", https://gfsis.org/political-crisis-ab/ 21.11.2024

Olesya Vartanyan, "No Way Forward, No Way Back", IPS, https://www.ips-journal.eu/topics/democracy-and-society/no-way-forward-no-way-back-7939/?utm_campaign=en_1262_20241126&utm_medium=e-mail&utm_source=newsletter 25.11.2024

С.М. Маркедонов, «ТРАНСФОРМАЦИЯ КОНФЛИКТНОГО ПОЛЯ В АБХАЗИИ: СОВРЕМЕННАЯ ПОЛИТИКА И ИСТОРИЧЕСКИЙ КОНТЕКСТ», МИРОВАЯ ЭКОНОМИКА И МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ, 2024, том 68, № 12, сс. 111-121

ავტორი გულწრფელ მადლობას უხდის ზოგადად ყველა იმ კოლეგას, ვისთანაც ათწლეულების მანძილზე უწყვეტი და ურთიერთკეთილგანწყობილი დისკუსიის ფორმატში აზუსტებდა საკუთარ შეხედულებებს, ხოლო კერძოდ - მათ, ვინც ამ მასალის შექმნის პროცესში თავისი ფასეული დაკვირვებები და მოსაზრებები გაუზიარა.

იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ., 1 ჩიხი, სახლი 1
0179 თბილისი | საქართველო

პასუხისმგებელი პირი:
მარსელ როთიგი | სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ოფისის დირექტორი
ტელ.: +995 32 225 07 28
http://southcaucasus.fes.de/

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
georgia@fes.de

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული
მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის
გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ
ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას.

ქართველები და აფხაზები (ქართულ-აფხაზური კონფლიქტი)

სად ვართ?

მიმდინარე წლის ნოემბერში აფხაზეთში ზედიზედ მესამე „პრეზიდენტს“ ვადამდე დაატოვებინეს პოსტი ძალდატანების გზით. ამგვარი პროცედურა უკვე ერთგვარ „ბრენდად“ იქცა აფხაზური ეთნო(დემო)კრატიისთვის, რასაც, სხვა გარემოებებთან ერთად, საზოგადოების კლანური სტრუქტურაც უწყობს ხელს. ამჟამინდელი ვნებათაღელვის ეპიცენტრში მოექცა შეთანხმება რუსეთთან ამ უკანასკნელისთვის აფხაზეთში პრივილეგირებული საინვესტიციო გარემოს შექმნის თაობაზე, რასაც სხვადასხვა კუთხით (ერთ-ერთზე ზემოთ ითქვა) სახიფათოდ მიიჩნევს იქაური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოში ნამდვილად მიიპყრო უწინდელზე მეტი ყურადღება აფხაზურ საზოგადოებაში. საიდუმლო არაა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება წინამორბედებთან შედარებით უფრო „ასატანია“ აფხაზეთში და ეს ერთნაირად ვრცელდება როგორც დეფაქტო ხელისუფლებაზე, ისე ოპოზიციაზე. ბოლო ოთხი წლის მანძილზე თბილისის უინიციატივობამ კონფლიქტების მიმართულებაზე ერთგვარად დაამშვიდა სოხუმი ქართველთა „რევანშისტული“ განზრახვების კუთხით.

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში თბილისსა და მოსკოვს შორის განელებული დაძაბულობა ერთგვარად აშფოთებს აფხაზობას; იქაურ საზოგადოებრივ დისკურსში სწორედ საქართველოს პარლამენტის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საიდანღაც გაჩნდა ქართულ-აფახაზური კონფედერაციის თემა და, შესაბამისად, ეჭვიც, რომ თუკი თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების ნორმალიზებისკენ სვლა ხელშესახებ პოლიტიკურ და არა მხოლოდ რიტორიკულ და, თუნდაც, ეკონომიკურ შედეგებს გამოიღებს, მაშინ რუსეთის ორბიტაზე საქართველოს გადასვლის ფასად მოსკოვი აფხაზეთს „გაწირავს“, ანუ საქართველოს „დაუბრუნებს“.

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
https://southcaucasus.fes.de/

FRIEDRICH EBERT STIFTUNG